ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N19

2022 წლის 28 ივნისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე" და ,,ზ" ქვეპუნქტებში და სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ე) ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური."

,,ზ) განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახური."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ქობულეთის საკრებულო
ს/კ 247001890

დ. მჭედლიშვილი